სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

05/11/2025

MES 7 25 0001531663

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2025 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, „2025 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 06 აგვისტოს MES 0 25 0000958349 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აპლიკანტებმა, რომლებმაც 2025 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების, მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე მოიპოვებენ პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, 2025 წლის 05 ნოემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი №1).

2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე (იხ.დანართი №2).
3. ბრძანების შესრულება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს.
6. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი